საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1683
13/05/2022

1683-21-2-202205131609

შპს „ჯი პი პის“
მის: ქ. თბილისი, ვაკე საბურთალოს რაიონი, კოსტავას ქ. N 47/57
ელ. ფოსტა: b.mekhrishvili@igdevelopment.ge

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 8 აპრილის განცხადება (N 8596), რომელიც ეხება კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. მეტეხში მეფრინველეობის ფერმის (1 800 000 სადგომით ქათმებისთვის) მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს.

სააგენტოს წარმომადგენლის მიერ, შპს „ჯი პი პის“ საპროექტო ტერიტორიის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სკოპინგის ანგარიშში აღწერილი ინფორმაციის შეუსაბამოდ ფერმის მოწყობისთვის საპროექტო სამუშაოების ნაწილი უკვე შესრულებულია, მათ შორის მოწყობილია ხუთი საფრინველე, ხოლო სამი მშენებლობის პროცესშია. გამოვლენილი ფაქტის შესახებ, შემდგომი რეაგირების მიზნით ეცნობა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ვინაიდან კომპანიის მიერ თითქმის დასრულებულია ფერმის სამშენებლო სამუშაოები, ხოლო სკოპინგის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია არ შეესაბამება არსებულ მდგომარეობას - **გაცნობებთ, რომ პროექტის სკოპინგის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სახეები.**

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სააგენტო ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს წერილში მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით გადამუშავებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის შემდგომ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო